ცვლილება ნომერი ოთხი

2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის"

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება #AAG-114-G-10-002

2014 წლის -------

ცვლილება ნომერი ოთხი "ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით და საქართველოს, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება").

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა (შემდგომში მხარეები) 2010 წლის 12 აგვისტოს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება საქართველოში ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულების დანართ 1-ში ("განვრცობილი აღწერა"); და

ვინაიდან, მხარეებმა გამოთქვეს სურვილი განავრცონ წინამდებარე ხელშეკრულება, რათა მოიცვას USAID-ის ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია საქართველოსთვის 2013-2017 წლებში (CDCS), CDCS-ის მიზანი-3, "ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა" და გაგრძელდეს USAID-ის დახმარება ხელშეკრულების მიზნებისათვის, და

ვინაიდან, USAID და გრანტის მიმღები გამოთქვამენ სურვილს, რომ შეიტანონ ხელშეკრულებაში ცვლილება იმ მიზნით, რომ:

1. მოიცვას სამოქალაქო საზოგადოება, შეამსუბუქოს და მოაგვაროს კონფლიქტი, სოციალური სერვისები, და ჯანდაცვა, როგორც შეთანხმების ახალი პროგრამის არეალი;
2. განახლდეს პროგრამის ელემენტები;
3. გაიზარდოს USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა 124,633,774 აშშ დოლარიდან 139,436,601 აშშ დოლარამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი დახმარება CDCS-ის ფარგლებში;
4. გაიზარდოს USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა, რათა ასახულ იქნას ზემოაღნიშნული ცვლილება;
5. შესაბამისად გაიზარდოს საქართველოს მთავრობის კონტრიბუცია;
6. განახლებულ იქნას დანართი 1, "განვრცობილი აღწერა", რათა ასახულ იქნას USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა;

7. განახლებულ იქნას ხელშეკრულების დანართი 1-ის დამატება 1, "USAID-ის ფინანსური გეგმა", რათა ასახულ იქნას აღნიშნული ცვლილებები;
8. განახლებულ იქნას დანართი 1, დამატება 2, რათა საილუსტრაციო საქმიანობების სია მოიცავდეს ბიზნეს-უნარებს საწყის სწავლებაში; და
9. დაემატოს დანართი 1, დამატება 3 რათა ასახულ იქნას CDCS-ის განვითარების მიზანი 3 და ახალი საილუსტრაციო საქმიანობები CDCS-ის ფარგლებში;

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. პუნქტი 2.1. ფუნქციონალური მიზანი, პროგრამის არეალი, მთლიანად უქმდება და იცვლება შემდეგით;

"პუნქტი 2.1. ფუნქციონალური მიზანი, პროგრამის არეალი. იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს ეკონომიკური ზრდა და ჰუმანიტარული დახმარება დაუცველი მოსახლეობისთვის, მხარეები თანხმდებიან, რომ ერთობლივად იმუშავებენ ისეთ საკითხებზე, რომელიც ორიენტირებულია აღნიშნული პროგრამის საქმიანობებზე აშშ-ს მთავრობის მიერ აშშ-ს უცხოური დახმარების სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში: რომლებიც მოიცავს გაუმჯობესებულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას სტრატეგიულ სექტორებში, ზრდის მაკროეკონომიკურ საფუძვლებს, ვაჭრობას და ინვესტიციას, ფინანსურ სექტორს, სოფლის მეურნეობას, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ შესაძლებლობას, გარემოს დაცვას, დახმარებას და პრობლემის გადაჭრას, სამოქალაქო საზოგადოებას, ჯანდაცვას, კონფლიქტების შემსუბუქებასა და მოგვარებას, სოციალურ სერვისებს (ერთობლივად, "მიზანი")".

2. ხელშეკრულების 2.2, პროგრამის ელემენტები წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

„პუნქტი 2.2. შედეგები, პროგრამის ელემენტები. იმ შემთხვევაში რომ მივაღწიოთ მიზანს, მხარეები თანხმდებიან, რომ იმუშავებენ ერთობლივად, რათა მიაღწიონ აღნიშნულ შედეგებს: 1. გაუმჯობესდეს მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, 2. მუნიციპალური განვითარება და ეკონომიკური შესაძლებლობები, 3. კრიზისის დაძლევა და დახმარება (IDP საცხოვრებლით უზრუნველყოფა), 4. გაზარდოს ჩართულობა ოკუპირებულ ტერიტორიებთან, 5. გაუმჯობესდეს ეკონომიკური მართვა, 6. გაზარდოს კონკურენტუნარიანობა და შემოსავლის განაწილება, 7. პასუხისმგებლობის მართვა ბუნებრივ შენატანებზე, 8. დაუცველი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა, და 9. ჯანდაცვის გაუმჯობესება (ერთობლივი „პროგრამის ელემენტები"). აღნიშნული ელემენტები ვრცლად აღწერილია დანართ 1-ში. 2.1 პუნქტის მიზნის ფარგლებში, პუნქტი 2.2 შეიძლება შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლობის მიერ შეთანხმების ფორმალური ცვლილებების გარეშე.

3. პუნქტი 2.3. დანართი 1, ვრცელი განმარტება წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

„პუნქტი 2.3. დამატება 1, ვრცელი განმარტება. დამატება 1, დანართი, ავრცობს ზემოთ აღნიშნულ მიზნებსა და პროგრამის ელემენტებს. განმარტების ფარგლებში მიზანი ჩამოყალიბდა პუნქტ 2.1-ში, დამატება 1 შეიძლება შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლობის მიერ შეთანხმების ფორმალური ცვლილებების გარეშე.

4. ხელშეკრულების 3.1 (ა) პუნქტი, - "გრანტი", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

"(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დამხარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და ხელშეკრულების პირობების დაცვით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასოცდაცხრამეტი მილიონ ოთხას ოცდათექვსმეტ ათას ექვსას ერთ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს ($139,436,601) ("გრანტი")".

5. ხელშეკრულების 3.1 (ბ) პუნქტის პირველი წინადადება ("USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა") წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

"(ბ) USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა. მიზნის მისაღწევად USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა შეადგენს ასოცდაცხრამეტი მილიონ ოთხას ოცდათექვსმეტ ათას ექვსას ერთ ამერიკის შეერთებული შტატების დოლარს ($139,436,601) რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით.

6. ხელშეკრულების პუნქტი 3.2 (ბ) პირველი წინადადება, "გრანტის მიმღების კონტრიბუცია, "$27,858,654" აშშ დოლარი წაიშლება და შეიცვლება "46,478,867" აშშ დოლარით.

7. დანართი1, პუნქტი VI (A), თანხა "124,633,774" აშშ დოლარი წაიშლება და შეიცვლება "139,436,601" აშშ დოლარით.

8. დანართი 1, განრიგი 1, მთლიანად იშლება და იცვლება შემდეგით:

"USAID-ის ფინანსური გეგმა: ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2017 ფინანსური

პროგრამები:	წინა ვალდებულება (2013 წლის სექტემბრის ცვლილება 3-ის გათვალისწინებით)	წინა ვალდებულება (2014 წლის სექტემბრის ცვლილება 4-ის გათვალისწინებით)	სხვაობა (წინა ვალდებლება ცვლილება 4-ის vs ცვლილება 3)	ცვლილება 4 ვალდებულებები	ვალდებულებ ს ჯამური თანხა	ზედა ზღვარი
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლებით უზრუნველყოფა	$34,668,597	$34,379,532	($289,065)		$34,379,532	$34,379,532
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	$20,206,435	$17,730,500	($2,475,935)		$17,730,500	$17,730,500
საინჟინრო სამუშაოები და ზედამხედველობა	$5,162,396	$4,777,396	($385,000)		$4,777,396	$4,777,396
საინჟინრო სამუშაოები და ზედამხედველობა 2	$0	$2,900,000	$2,900,000		$2,900,000	$2,900,000
ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები (NEO)	$20,473,321	$21,077,764	$604,443	$1,100,557	$22,178,321	$22,178,321
ეკონომიკური ზრდის ინიციატივა (EPI)	$13,985,113	$13,985,113	$0		$13,985,113	$13,985,113
ეკონომიკური მართვა (G4G)	$5,275,130	$5,075,130	($200,000)	$2,339,495	$7,414,625	$7,414,625
სასოფლო სამეურნეო წარმოების აღდგენის ეფექტურობა (REAP)	$12,172,937	$9,962,468	($2,210,469)	$2,580,573	$12,543,041	$12,543,041
გარემოსდაცვითი შეფასება (REAP)	$191,063	$191,063	$0		$191,063	$191,063
გაძლიერებისა და საკონსულტაციო მომსახურების (SEAS) პარტნიორთა ჯილდო	$1,550,000	$2,360,573	$810,573		$2,360,573	$2,360,573
სოფლის მეურნეობის შეერთებული შტატების დეპარტამენტი (USDA) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ინიციატივა(GAPI)	$750,000	$750,000	$0		$750,000	$750,000
ეკონომიკური ცოდნის და კვლევის თანამშრომლობა (PEER) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა(ISET)	$390,000	$397,500	$7,500		$397,500	$397,500
წლიური პროგრამის ანგარიში-საქართველო (APSG)	$1,500,000	$1,287,953	($212,047)		$1,287,953	$1,287,953
მყარი სარჩენების მართვის პროექტი	$2,110,000	$2,110,000	$0	$1,110,000	$3,220,000	$3,220,000

დაბალი ემისიების განვითარების სტრატეგიის (EC LEDS) შესაძლებლობების გაზრდა	$4,522,175	$4,522,175	$0	$1,112,225	$5,634,400	$5,634,400
ოჯახური ძალადობის პრევენცია	$675,000	$675,000	$0		$675,000	$675,000
ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია აფხაზეთში	$0	$200,000	$200,000		$200,000	$200,000
აფხაზეთის მოსახლეობის მოდერნიზაციის პროექტი	$0	$250,000	$250,000		$250,000	$250,000
ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერების პროექტი (ANI)	$0		$0	$300,000	$300,000	$300,000
ბიზნეს უნარები საწყის სწავლებაში (BSPE)	$0	$1,000,000	$1,000,000		$1,000,000	$1,000,000
სამართლებრივი მომსახურების გაწევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის	$0		$0	$599,977	$599,977	$599,977
პირობითი საზღვრის მოწყობის შედეგად დაზარალებული და დაუცველი თემების/სოფლების მხარდაჭერა	$0		$0	$3,000,000	$3,000,000	$3,000,000
სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა	$0		$0	$400,000	$400,000	$400,000
ჩართულობის გაზრდის პროექტი	$0		$0	$2,200,000	$2,200,000	$2,200,000
პროგრამის დიზაინი და შესწავლა	$0		$0	$60,000	$60,000	$60,000
პროგრამის მხარდაჭერა	$1,001,607	$1,001,607	$0	$0	$1,001,607	$1,001,607
ჯამი	**$124,633,774**	**$124,633,774**	$0	**$14,802,827**	**$139,436,601**	**$139,436,601**

9. დანართი 1-ის უკანასკნელი პარაგრაფი, განვრცობილი აღწერა, პუნქტი V(A), წაიშლება სრულად და პუნქტი V-ის ბოლოს დაემატება შემდეგი:

"D. <u>ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია.</u> 2013 ფისკალურ წელს USAID-მა საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციით მიიღო ახალი "ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია" საქართველოსთვის, რომელიც ფარავს 2013-2017 ფისკალურ წლებს ("CDCS"). "CDCS"-ის განვითარების სტრატეგია 2, "ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა", და CDCS-ის განვითარების მიზანი 3, „სტაბილური ზრდა, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოება", ხელს უწყობს ხელშეკრულების ფუნქციონალურ მიზნებს და უზრუნველყოფს სტრატეგიულ და პროგრამულ ჩარჩოს USAID-ის საქმიანობებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს ამ ფუნქციონალურ მიზნებს 2013-2017 ფისკალური წლებისათვის. განვრცობითი აღწერა "CDCS"-ის განვითარების სტრატეგია 2-თვის და სხვა ყველა შესაბამისი საქმიანობები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ სტრატეგიით წარმოდგენილია, როგორც დანართი 1-ის დამატება 2". ვრცელი აღწერა CDCS -ის განვითარების სტრატეგია 3 და მასთან დაკავშირებული საქმიანობები გამომდინარე ამ სტრატეგიიდან არის მოწოდებული, როგორც განრიგი 3 ამ დანართ 1-ში.

10. დანართი 1, განრიგი 2 USAID ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია 2013-2017, „განვრცობითი აღწერა" განვითარების მიზანი 2"- ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა შესწორებულია შემდეგი ტექსტის IR2.4-ის ბოლოს დამატებით: ხარისხზე და ბაზარზე ორიენტირებული სამუშაო ძალის ზრდა:

„ბიზნეს უნარები საწყის სწავლებაში"

ეს საქმიანობა წარმოადგენს დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ბიზნეს უნარების პირველად შეფასებას, რაც გულისხმობს მოსწავლეებში კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მოამზადებს მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე განათლებისა და ეკონომიკის საფუძვლიანად სწავლებისათვის. ბიზნეს უნარების სწავლება ინტეგრირდება 1-6 კლასებში, როგორც გამჭოლი პრიორიტეტი სხვადასხვა სასწავლო დისციპლინის ფარგლებში. მოსწავლეების ყურადღება ორიენტირებული იქნება რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითებზე.

11. აღნიშნული ცვლილება 4-ის განრიგი 1, სათაურით „დანართი 1, განრიგი 3, ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია 2013-2017, „განვრცობითი აღწერა", განვითარების მიზანი 3 - სტაბილურად ზრდადი, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოება" თანდართულია, როგორც აღნიშნული ხელშეკრულების დანართ 1-ის„განრიგი 3".

12. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა ტერმინები და პირობები უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ოთხს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

ამერიკის შეერთებული შტატები	საქართველო:
---	---
სახელი, გვარი: Stephen M. Havkin	სახელი, გვარი: ნოდარ ხადური
თანამდებობა: Mission Director USAID/Caucasus	თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

"ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულების ცვლილება ნომერი ოთხი.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ
შეთანხმება
„გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური შესაძლებლობები და
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა "
დანართი 1: მე-3 დამატება

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ს)
ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის შესახებ
2013-2017 წლების სტრატეგია

ერცელი აღწერა

<u>განვითარების მე-3 ამოცანა – მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანმრთელი საზოგადოება</u>

წარმატების მიღწევა ეკონომიკური ზრდისა და დემოკრატიული რეფორმების კუთხით, გარკვეულწილად, დამოკიდებული არის იმ ნაბიჯებზე, რომლებსაც საქართველო გადადგამს უფრო შეკავშირებული და ინტეგრირებული ქვეყნის ჩამოყალიბებისკენ, კონფლიქტური პერიოდის მდგომარეობის გადალახვისკენ და ეთნიკური უმცირესობების, ქალებისა და გოგონების, და სხვა დაუცველი ჯგუფების უფრო მეტად ინტეგრაციისკენ. მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანმრთელი საზოგადოების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნება სამი შუალედური შედეგის მიღწევის გზით, კერძოდ კი ოკუპირებულ ტერიტორიებთან მეტი ურთიერთობით, მოსახლეობის სამიზნე ჯგუფების ჩართულობის გაზრდითა, და საქართველოს *გლობალური ჯანმრთელობის ინიციატივის* მიზნების განხორციელებით.

შუალედური შედეგი 3.1: ოკუპირებულ ტერიტორიებთან მეტი ურთიერთობა

საქართველოს კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის მეტი ურთიერთობა გადამწყვეტი შემდგომი ნაბიჯია საქართველოს მიერ კონფლიქტის შერბილებისა და კონფლიქტის მართვის გარდამავალ ეტაპზე. უშუალოდ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ამგვარი ურთიერთობების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც შეერთებული შტატების მთავრობას (აშშ მთავრობა) და სხვა დონორ ქვეყნებს ძალიან მცირე, ანდა არავითარი წვდომა არ დაუტოვა ოკუპირებულ ტერიტორებზე. აშშ-ს მთავრობა მიზნად ისახავს ისარგებლოს ახალი შესაძლებლობებით და ხელი შეუწყოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ განახლებულ ურთიერთობებს, როგორც სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მნიშვნელოვან კომპონენტს.

ზემოაღნიშნული შუალედური შედეგის მთავარი რეზულტატები იქნება: ხალხთა შორის პირდაპირი ურთიერთობების მექანიზმების ჩამოყალიბება და ამოქმედება, რაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ
შეთანხმება
„გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური შესაძლებლობები და
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა "
დანართი 1: მე-3 დამატება

საზოგადოების წევრებს და მთავარ მოქმედ პირებს ერთმანეთთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას შეუქმნის; სხვადასხვა ჯგუფებისათვის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ასოციაციებისათვის ერთმანეთთან შეხვედრისა და თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობების შექმნა; ასევე პროფესიული ჯგუფებისათვის, მათ შორის ახალგაზარდა პროფესიონალებისათვის, აკადემიური წრის წარმომადგენლებისათვის, უნივერსიტეტების ადმინისტრატორებისა და ჟურნალისტებისათვის ერთობლივი ტრეინინგებისა და პრაქტიკული სემინარების გამართვის მეტი შესაძლებლობების შექმნა. ახალგაზრდები და პროფესიონალები ურთიერთობებს ჩამოაყალიბებენ და ითანამშრომლებენ ისეთ თემებთან დაკავშირებით, რომელიც მათი საერთო ინტერესის საგანია, მაგალითად, როგორიცაა პროფესიული სწავლება და სამოქალაქო განათლება, მეცნიერება და ტექნოლოგიები. ასევე შესაძლებელია თანამშრომლობა ისეთ ერთობლივ პროექტებზე, როგორიცაა ახალგაზრდული მედია პროგრამები. დიალოგისა და ტრეინინგების შედეგად შესაძლოა ხელი შეეწყოს პროფესიულ ურთიერთობებს, თეორიული ცოდნის გაზიარებას, სოციალურ ურთიერთობებსა და ინტერნეტ ტექნოლოგიებისა და ელექტრონული დისტანციური სწავლის სისტემების გამოყენებას. შესაძლოა ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისა და კვლევების ჩატარება საქართველოში კონფლიქტის ყველა მხარის დამოკიდებულებებისა და აღქმების მონიტორინგის მიზნით. ამ საქმიანობების შემადგენელი ნაწილი იქნება გადაწყვეტილების მიღებისა და მშვიდობის დამყარების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, რაც დიალოგებსა და გაცვლით პროგრამებში მათი ჩართვით მიიღწევა. მოსალოდნელი შედეგები მოიცავს ცვლილებებს ქცევაში, დამოკიდებულებებსა და ინსტიტუციებში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ გრძელვადიანი მშვიდობის დამკვიდრებისა და შერიგებისაკენ მიმართული ძალისხმევის განხორციელებას.

<u>*საილუსტრაციო საქმიანობები:*</u>

საიმედო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა:

საქმიანობების განხორციელების შედეგად საიმედო ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ჯგუფებისთვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ
შეთანხმება
„გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური შესაძლებლობები და
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა "
დანართი 1: მე-3 დამატება

პირობითი საზღვრის მოწყობის შედეგად დაზარალებული და დაუცველი თემების/სოფლების მხარდაჭერა

გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება დაეხმარება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მცხოვრებ ქართულ დასახლებებს. დაგეგმილია მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შემოსავლების გენერირების ინიციატივების განხორციელება, რაც დაეხმარება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ მცხოვრებ დაუცველ ოჯახებს საარსებო საშუალებების გაუმჯობესებაში. მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქუტრის რეაბილიტაცია, როგორიცაა სასმელი წყლის სისტემები, სადრენაჟო არხები და სოფლის/შიდა გზები, სარგებელს მოუტანს 4,000-მდე ოჯახს. შემოსავლების გენერირების ინიციატივები კი დაეხმარება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 2,000 დაუცველ ოჯახს პროფესიული განათლების, დაფინანსების, სხვადასხვა ხელობებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა, და მიკრო საწარმოებისათვის განკუთვნილი დახმარების მიღებაში. სამიზნე დარგები შესაძლოა მოიცავდეს მეფუტკრეობას, ხეხილის/ბოსტნეულის მოყვანას, ტანსაცმლის კერვას, პარიკმახერის პროფესიას, და სხვადასხვა სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო მომსახურებებს.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია აფხაზეთში

აღნიშნული პროექტი სოფლად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მეშვეობით ხელს შეუწყობს შერიგებას, რაც იძულებით გადაადგილებულ პირებს იმ ადგილებში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს, სადაც ამჟამად რთულია მისელა, და მათ შესაძლებლობა ექნებათ აღადგინონ თავიანთი სახლები და საარსებო საშუალებები.

აფხაზეთის მოსახლეობის მოდერნიზაციის პროექტი

უკვე განხორციელებულმა საქმიანობებმა ხელი შეუწყო აფხაზეთის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე ნიადაგის ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის გახსნას. აღნიშნული ლაბორატორია შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ნიადაგისა და წყლის ანალიზისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინონ და ასევე პრაქტიკულ დახმარებას სთავაზობს ადგილობრივ ფერმერებს ადგილობრივი აკადემიური წრეების დახმარებით სოფლის მეურნეობის განვითარების ინიციატივების განხორციელებაში. მომავალი საქმიანობები დაეყრდნობა აფხაზეთის უნივერსიტეტში განხორციელებულ ამ ფლაგმან პროექტს, კერძოდ კი მოხდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებში ახალი პოტენციური ინიციატივების გამოვლენა შემოდგომი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის, ხოლო უნივერსიტეტებისათვის უზრუნველყოფილ იქნება საჭირო ტექნიკა და

ტრეინინგების ჩატარება განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი საქმიანობები ითვალისწინებს პროფესიულ სწავლებას და გადამზადებას ახალგაზრდა მომავალი მეწარმეებისთვის და თვითდასაქმებულთათვის. კვლავ გაგრძელდება ახალგაზრდობის არსებულ ცენტრებთან მუშაობა ბიზნეს მოდელების შემუშავების კუთხით, რაც უზრუნველყოფს ცენტრების ფუნქციონირებას/მდგრადობას პროექტის დასრულების შემდეგ.

შუალედური შედეგი 3.2: მოსახლეობის სამიზნე ჯგუფების გაზრდილი ჩართულობა

აღნიშნული შუალედური შედეგი ხელს შეუწყობს საქართველში მარგინალური ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ქალებისა და გოგონების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და იძულებით გადაადგილებული პირების ინტეგრაციას პოლიტიკურ, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უწყებებში. ზემოაღნიშნული შუალედური შედეგის მიზანია საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის ყველაზე მარგინალური ჯგუფების ჩართულობის გაზრდა. გენდერული საკითხები ინტეგრირებული იქნება ყველა აქტივობაში სტრატეგიის განხორციელების პერიოდის მანძილზე.

ზემოაღნიშნული შუალედური შედეგით გათვალისწინებული რეზულტატები მიღწეულ იქნება უფლებების დაცვის გზით; სამართლებრივი და მარეგულირებელი რეფორმებით; მოსახლეობის სამიზნე ჯგუფების ფართო წარმოდგენით ხელისუფლების სამივე შტოში, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე; ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი შესაძლებლობების შექმნით; ასევე ინიციატივებით, რომლებიც მიზნად ისახავს მრავალფეროვნების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისა და განათლების დონის გაზრდას საგანმანათლებლო ინსტიტუტების მეშვეობით, ასევე საქართველოს მთავრობის სამუშაო ადგილზე გადამზადების პროგრამებისა და კურსების მეშვეობით. შედეგად, საქართველოში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გაიზრდება ქალთა, უმცირესობათა და მოსახლეობის სხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლთა მონაწილეობა პოლიტიკურ, სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უწყებებში. გაიზრდება მოსახლეობის აღნიშნული ჯგუფების სასარგებლოდ ადვოკატირება და აქტივიზმი; მაგალითად ადვოკატირებას ისეთ საკითხებზე როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობები და ჩართულობა განახორციელებენ უმცირესობათა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, ქალთა ბიზნეს ასოციაციები, და სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები მათ მიერ შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტების მეშვეობით.

<u>საილუსტრაციო საქმიანობები:</u>

ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება:

საქმიანობები მიზნად ისახავს საქართველოში საერთო-ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერებას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ჩართულობის გზით. ინტერვენციები ასევე ითვალისწინებს მთელს საქართველოში ახალგაზრდებთან მუშაობას პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და მონაწილეობის გზით; გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე მრავალფეროვნების შესახებ; ასევე მოხდება სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებს შორის ურთიერთობის მექანიზმების ხელშეწყობა.

ჩართულობის გაზრდის პროექტი:

ინტერვენციების შედეგად გაიზრდება საქართველოში უმცირესობების, დაუცველი პირების და მათი ჯგუფების ჩართულობის დონე. გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობები: ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების მხარდაჭერა, რათა ხელი შეეწყოს მთელს საქართველოში ახალგზარდებს შორის ინტეგრაციას ეთნიკური და გეოგრაფიული საზღვრების მიუხედავად; მედიის მეშვეობით საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა მრავალფეროვნების საკითხებზე; და სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებს შორის ურთიერთობის მექანიზმების ხელშეწყობა. ასევე გათვალისწინებულია მხარდაჭერის გაწევა ტოლერანტობის ცენტრისათვის, და ანტიდისკრიმინაციული სტრუქტურული ერთეულისათვის, რომლის ჩამოყალიბებაც გათვალისწინებულია სახალხო დამცველის ოფისში.

სამართლებრივი მომსახურებების გაწევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის საქართველოში:

ინტერვენციები ხელს შეუწყობს *გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის* და ადგილობრივი კანონების განხორციელებას. ეს კი მიიღწევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა დაცვის ორგანიზაციების ადვოკატირების გაძლიერებით, ასევე თბილისში, იმერეთის რეგიონში, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში იურიდიული მომსახურებების ჩამოყალიბებით, რაც მიმართული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დარღვევის და მათ მიმართ დისკრიმნაციის შეჩერებისაკენ. საქმიანობები ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობის დახვეწას, იმპლემენტაციას და შესაბამისობაში მოყვანას *გაეროს შეზღუდული*

შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მუხლებთან. ასევე გათვალისწინებულია საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება შეცვლილი კანონების შესახებ, ასევე ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები ხელმისაწვდომ გარემოზე, სოციალურ ინტეგრაციასა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე.

შუალედური შედეგი 3.3: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და გადამდები დაავადების შემთხვევების რაოდენობის შემცირება

საქართველოში აშშ-ს მთავრობის *გლობალური ჯანმრთელობის ინიციატივის* სტრატეგიის ამოცანები პირდაპირ შეუწყობს ხელს სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანმრთელი საზოგადოების ჩამოყალიბებას. პირველი ამოცანა გულისხმობს ჯანდაცვის ხარისხიანი მომსახურების თანასწორ უტილიზაციას დედათა და ნეონატალური სიკვდილიანობის შესამცირებლად, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებით სარგებლობის გასაზრდელად, და საქართველოში ინფექციური დაავადებების გავრცელების შესაჩერებლად. აღნიშნული ამოცანის მიღწევა მოხდება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით, რაც თავის მხრივ გაზრდის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას; ასევე ჯანმრთელობის ხელშეწყობის პრაქტიკის გაუმჯობესებითა და ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის გაზრდით ჯანდაცვის ხარჯების დასაფარად. მეორე ამოცანა გულისხმობს საქართველოში ინდივიდუალური პირების, ინსტიტუტებისა და სისტემების განვითარებას. ეს ამოცანა მიიღწევა ჯანდაცვის სფეროში ადამიანური რესურსების გაძლიერებით. აღნიშნული შუალედური შედეგის მთავარი რეზულტატი იქნება გაუმჯობესებული მომსახურებების მიწოდება ისეთ სამიზნე სფეროებში, როგორიცაა შეზღუდული შესძლებლობების მქონე პირებზე მზრუნველობა და ჯანმრთელობა, და გაუმჯობესებული შედეგები ჯანდაცვის, ინფორმირებულობის, და ბავშვებზე ზრუნვის თვალსაზრისით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 01171-14
თარიღი/DATE 26.09.2014
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia